



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 365

ქალაქი ქუთაისი 22 თებერვალი 2017 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია  
„ქართული ოცნება–მრეწველების“ რეგისტრაციის შესახებ“  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის  
26 ოქტომბრის № 312 განკარგულებაში ცვლილების შეტანის  
თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-8, მე-9 და მე-14 პუნქტების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველების“ 2017 წლის 15 თებერვლის № 1 სხდომის ოქმის, ამ ფრაქციის თავმჯდომარის, ვ.დოლიძის წერილობითი მომართვის, საკრებულოს წევრის, ლ.ქელბაქიანის 2017 წლის 15 თებერვლის განცხადებისა და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

**მუხლი 1.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველების“ თავმჯდომარე, ლაშა გვენეტაძე გადარჩეულია ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობიდან;
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველების“ თავმჯდომარედ არჩეულია საკრებულოს წევრი, ვიქტორ დოლიძე;
3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველების“ შემადგენლობაში პირადი განცხადებით გაერთიანდა საკრებულოს წევრი, ლელა ქელბაქიანი.

/ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია  
„ქართული ოცნება–მრეწველების“ 2017 წლის 15 თებერვლის  
N1 სხდომის ოქმი, ამ ფრაქციის თავმჯდომარის, ვ.დოლიძის  
წერილობითი მომართვა, საკრებულოს წევრის, ლ.ქელბაქიანის  
განცხადება და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის  
დასკვნა განკარგულების დედანს თან ერთვის/

**მუხლი 2.** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეტანილ იქნეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველების“ რეგისტრაციის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 ოქტომბრის N312 განკარგულებაში შემდეგი ცვლილება:

1. განკარგულების 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველები“ შედგება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

- ა. დოლიძე ვიქტორი
- ბ. გვენეტაძე ლაშა
- გ. ყანჩელი ბექა
- დ. ქელბაქიანი ლელა“

2. განკარგულების 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის, ვიქტორ დოლიძის შრომითი გასამრჯელო განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.“

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი

ბექა ყანჩელი